ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 46

20.10.2020
12:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს, 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: დავით ჭელიძე (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი **თინათინ რუხაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" 2020 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა.** (**მომხსენებელი** - თინათინ რუხაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი)

სხდომა წარიმართა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ჭელიძე.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" 2020 წლის საქმიანობის ანგარიში კომისიებს წარუდგინა აღნიშნული ეროვნული სასახლის დირექტორმა.

თინათინ რუხაძე - მოგესალმებით, მადლობას მოგახსენებთ ამ რთულ დროში, პანდემიის პირობებშიც, რომ შეძელით და გამონახეთ დრო სასახლის შესახებ სასაუბროდ. მოგეხსენებათ ასეთი გამოწვევების ფონზე საკმაოდ რთული იყო რელევანტური გამოსავლის მოძებნა, მაგრამ ჩვენ შევძელით და უკვე მარტის თვიდან ონლაინ რეჟიმზე გადავიყვანეთ სწავლება, 4700 მოსწავლით დავიწყეთ 2020 წლის იანვარი და შევძელით დიდი ნაწილი ბენეფიციარების შენარჩუნება, ასაკოვანმა პედაგოგებმაც კი კარგად აუღეს ალღო და სრულად ონლაინ პლატფორმაზე გადავედით. სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს, ვისაც ინტერნეტი არ აქვთ ტელეფონით ვემსახურებით. დღევანდელი დღის მონაცემებით 1200-ზე მეტი ბავშვია რეგისტრირებული, აქედან 250 მოსწავლე სოციალურად დაუცველია მერიის კვოტით, პანდემიამდე ვახერხებდით 1200-მდე სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის მომსახურეობას, კერძო მოსწავლეების დონაციის დახმარებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და თბილისის განვითარების ფონდის დახმარებით დაწყებულია სასახლის მე-2 და მე-3 შენობის სრული რეაბილიტაცია, მიმდინარეობს სასახლის მთავარი შენობის გამაგრებითი გარე სამუშაოები. სამუშაოები პანდემიის მიუხედავათ არ შეჩერებულა და ჩვენც სრულად ჩართულები ვართ პროექტის განხორციელების მონიტორინგში, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის. ასევე შევძელით და განვახორციელეთ ონლაინ გადაცემები საზოგადოებრივი მაუწყებლის დახმარებით, სადაც ჩართულები არიან ჩვენი სასახლის ბავშვები. ნაწილის ბავშვების, ონლაინ კონცერტებისთვის რეპეტიციების გავლის და სამხატვრო სახელოსნოში მუშაობას სასახლეშიც ახერხებენ წესების დაცვით. საკმაოდ კარგი სტატისტიკა გვაქვს ღონისძიების ჩატარების, სულ ეროვნულმა სასახლემ 2020 წლის სამივე კვარტალში 160 ღონისძიება ჩაატარა, მათ შორის: კულტურულ-საგანმანათლებლო, საშემსრულებლო, ტრენინგები, ლექციები, პრეზენტაციები, გასვლითი ღონისძიებები, კონკურსები, ტურნირები, ჩემპიონატები, ონლაინ კვირეული, რეპორტაჟები, ონლაინ კონცერტები, ფესტივალები და სხვა. აქედან გამომდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროექტი, რაც დაგეგმილი გვქონდა ძირითადად განვახორციელეთ, ასევე აღსანიშნავია, რომ 300-მდე ახალგაზრდა გაცვლით პროგრამებში იღებენ მონაწილეობას ევროპის საბავშვო ფილმების ასოციაციის წევრობის ფარგლებში, ჩვენი კინოკლუბის წარმატებაა კინოფესტივალი „თაობა“ - სადაც ბერლინალეს ფარგლებში ევროპულ კინოაკადემიასა და ევროპის საბავშვო ფილმების ასოციაციასთან სამუშაო ვიზიტს ვახორციელებთ და ჩვენი ბავშვების ნამუშევრების გატანას შევძლებთ. კინოჩვენებები განვახორციელეთ ღია ცის ქვეშ, როგორც კონცერტებს და სხვა აქტივობებს ვახორციელებთ. მინდა გამოვყო, რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა მშობლების მხრიდან დავეხმაროთ ბავშვებს პანდემიური სტრესის გამკლავებაში და შესაბამისი ღონისძიებები განვახორციელოთ, რასაც უკვე ვგეგმავთ და აუცილებლად განვახორციელებთ ღია ცის ქვეშ, ეზოებში და სხვა ღია სივრცეებში. სასახლის ფსიქოლოგებიც აქტიურად მუშაობენ და სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრაც გვიწევს კონსულტაციას. ასევე სამომავლოდ ვფიქრობთ ონლაინ პლატფორმის შენარჩუნებას გარკვეული მიმართულებით. ჩვენი ხელმძღვანელობის პერიოდში, რაც მთავარია სასახლემ დაიბრუნა მისი მთავარი ფუნქცია და მოსწავლეები თავად ქმნიან საინტერესო პროექტებს და გეგმავენ აქტივობებს. სასახლის რეაბილიტაციასთან ერთად ვემზადებით შინაგანი რეაბილიტაციისთვის, რათა მზად დავხვდეთ იმ გამოწვევებს რაც არაფორმალურ განათლებაშია და მაქსიმალურად შევძლოთ სათანადო პასუხების გაცემა, მრავალფეროვნების, ტექნოლოგიური განვითარების და მოსწავლეებში თვალსაწიერის გაფართოების მხრივ. უცხოელ ექსპერტებთან, მეთოდისტებთან ერთად ვგეგმავთ შესაბამის სტრატეგიაზე მუშაობას.

ეს კი ჩვენს მიერ განხორციელებული პროექტების მოკლე ჩამონათვალია: ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა 2020“; „კინოკლუბი ორბელიანზე“ კინოჩვენება; თბილისის საფორტეპიანო ფესტივალის საორგანიზაციო მხარდაჭერა; თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალის მხარდაჭერა; მონაწილეობა ევროპის მემკვიდრეობის დღეებში; ეროვნული სასახლის მუზეუმის ფონდების მნიშვნელოვანი განახლება. ასევე 2020 წლის IV კვარტალში დაგეგმილი პროექტები: ახალგაზრდული მუსიკალური ფესტივალი „თაობა“; თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი (თაო) - ბეთჰოვენის 250 წლისადმი მიძღვნილი ფესტივალი; არაფორმალური განათლების კონფერენცია; სტრატეგიული პარტნიორობის ფორუმი; კულტურის დიპლომატიის ახალგაზრდული აკადემია; ეროვნული სასახლის მეთოდური განახლებები - სამოქალაქო განათლების, პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის, ახალგაზრდული მუშაკების პროგრამის, ტექნიკური ინჟინერიისა და სხვა სწავლებების დანერგვა/განახლება; კინოგანათლების ონლაინ პლატფორმა www.filmeducation.ge; დისტანციური სასწავლო კურსი დიასპორებისთვის - „ქართული კინოს ისტორია“ და სხვა.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ავთანდილ ცინცაძე - მინდა მადლობა გადავუხადო ეროვნული სასახლის კოლექტივს ძალიან საინტერესო აქტივობებისთვის და მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის, რასაც ისინი ახორციელებენ და ქმნიან საინტერესო გარემოს ახალგაზრდებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ დროს ფეხი ავუწყოთ გამოწვევებს და შევძლოთ ადაპტირება, თუნდაც ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ,,ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" 2020 წლის საქმიანობის ანგარიში“ და დადებითად შეაფასა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: დავით ჭელიძე